პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 104 (9880) | სამშაბათი, 4 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

**ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს ჩვენი დიდი სამშობლოს მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, სსრ კავშირის ყველა ხალხმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე—1 მაისი.**

**პირველი მაისის დემონსტრაციამ უდიდესი ძალით ცხადყო პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობა, საბჭოთა ადამიანების ურყევი გადაწყვეტილება—იარონ წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.**



მავზოლეუმის ტრიბუნაზე 1954 წლის 1 მაისს. მარცხნიდან მარჯვნივ: ამხანაგები ს. მ. ბუდიონი, ნ. გ. კუზნეცოვი, გ. კ. ჟუკოვი, ა. მ. ვასილევსკი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, ა. ნ. კოსიგინი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ტრიბუნაზე არიან ბავშვები, რომლებმაც მათ ყვავილები მიართვეს.

ფოტო ფ. კისლოვისა.

## საბჭოთა ხალხის მძლავრი ერთიანობა

„პრავდის“ 2 მაისის მოწინავე

საბჭოთა კავშირის ხალხებმა სიხარულითა და ზეიმით აღნიშნეს პირველი მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე.

გუშინ გაიმართა საპირველმაისო პარადი და მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა კიევში, მინსკში, კიშინიოვში, ვილნიუსში, რიგაში, ტალინში, პეტროზავოდსკში, თბილისში, ერევანში, ბაქოში, ტაშკენტში, ალმა-ატაში, ფრუნზეში, სტალინაბადში, აშხაბადსა და ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონში.

ამ ნათელ მზიან დღეს ქუჩებში და მოედნებზე სადღესასწაულო კოლონებში გაიარა მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, რომლებმაც ცხადყვეს თავიანთი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება დაუცხრომლად იშრომონ საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის. პირველი მაისის დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად, კომუნისტური პარტიისადმი მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულისა და ნდობის ახალ გამოვლინებად.

ნახევარი საუკუნის ისტორიის გამოცდილებამ საბჭოთა ხალხი დაარწმუნა, რომ კომუნისტების პარტია მტკიცედ და ერთგულად ემსახურება მშრომელებს, რომ იგი ნამდვილი სახალხო პარტიაა. ჩვენმა გმირმა მუშათა კლასმა, ჩვენმა სახელოვანმა გლეხობამ და სახალხო ინტელიგენციამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური წყობილების შექმნისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ურყევ ბურჯად საბჭოთა სახელმწიფოს გადაქცევისათვის ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის წინაშე როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში მდგომი ამოცანების ნათელი გაგებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის ჩვენს ხალხს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. კომუნისტური პარტია სათავეში უდგას ხალხის მასების დიად შემოქმედებით აღმავლობას კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის ყველა ხალხი მხურვალედ იწონებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც იმით გამოიხატება, რომ კვლავაც განამტკიცონ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება, სოციალისტური ერების ურყევი მეგობრობა, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, ყოველი ღონისძიებით განავითარონ ეკონომიკა და კულტურა, უზრუნველყონ ხალხის კეთილდღეობის სწრაფი აღმავლობა, დაუცხრომლად განამტკიცონ საბჭოთა სამშობლოს თავდაცვა.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები უდიდესი ენერგიით შეუდგნენ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული დადგენილებანი, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სხვა გადაწყვეტილებანი საბრძოლო პროგრამა გახდა მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული იმით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში შექმნას სურსათის ჯერ საკმარისობა, ხოლო შემდეგ სიუხვე, მკვეთრად გაადიდოს მოსახლეობის უზრუნველყოფა სახალხო მოხმარების საგნებით. მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება საყოველთაო-სახალხო მოძრაობა შრომის ნაყოფიერების — სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისა და მასების კეთილდღეობის აღმავლობის ამ საფუძვლის განუხრელი ზრდისათვის. ჩვენი ქვეყნის ქალაქებში ფართოვდება შეჯიბრება სოციალისტური მრეწველობის შემდგომი ზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ყურადღების ცენტრშია მოსავლიანობის გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ბაზაზე მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდების, მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგების განვითარების ამოცანები.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ დაჩქარებული ტემპით განვავითაროთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები. პარტია მოგვიწოდებს ავამოქმედოთ სოციალისტური წარმოების უდიდესი რეზერვები, სწორად და ეფექტიანად გამოვიყენოთ ჩვენი მდიდარი ტექნიკა, გავაუმჯობესოთ წარმოების ორგანიზაცია, გულმოდგინედ შევისწავლოთ და გავავრცელოთ მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილება, განვამტკიცოთ შრომის სოციალისტური დისციპლინა.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიადი ამოცანები მოითხოვენ ოპერატიულ კვალიფიციურ ხელმძღვანელობას ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მხრივ. იმას, რომ გამარტივდეს და გაიაფდეს სახელმწიფო აპარატი, განმტკიცდეს მისი კავშირი ხალხის ფართო მასებთან.

წელს პირველი მაისის დღესასწაული მიმდინარეობს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის ბრძოლის გაძლიერების ნიშნით.

ჩვენი ხალხი, ისევე როგორც მთელი მოწინავე კაცობრიობა, ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. ახლა სწორედ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის დაუცხრომელი მეცადინეობის მეოხებით მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება. მშვიდობის ყველა დამცველს და მეგობარს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც განუხრელად განახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების პოლიტიკას. პირველი მაისის დემონსტრანტების დროშებზე აღბეჭდილი იყო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ყველა ხალხისადმი ძმური სალმის სიტყვები.

საბჭოთა ხალხი პირველი მაისის ამ საზეიმო დღეებში ძმურ მგზნებარე სალამს უძღვნის დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით იბრძვის თავისი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის, სახალხო-დემოკრატიული წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ადამიანები სულით და გულით ულოცავენ ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებელ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს და შემდგომ წარმატებებს უსურვებენ მათ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, თავიანთი კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ჩვენ ძმური მეგობრობისა და სოლიდარობის ხელს ვუწვდით კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან დემოკრატიული უფლებებისათვის, სრულ გამარჯვებას ვუსურვებთ კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ქვეყნებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენით და მხნედ შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს. თავიანთი ნაცადი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული საბჭოების ქვეყნის ხალხები წარმატებით წყვეტენ კომუნიზმის აშენების ამოცანას. ამ დიადი მიზნის მიღწევის გზას გვინათებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე მოძღვრება.

გაუმარჯოს პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ს. ვ. დურმიშიძის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. სერგი ვასილის-ძე დურმიშიძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი. 1954 წლის 10 აპრილი.

## პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

1954 წლის პირველი მაისის დილაა.

ალმებით მორთულა მოსკოვი. დიდებულია სადღესასწაულოდ მოკაზმული წითელი მოედანი. ცენტრში სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის შენობაზე, რომელიც მთელი წითელი მოედნის სიგრძეზეა, არის ლენინისა და სტალინის პორტრეტები. მათ გარშემო მრავალი დროშაა. ელისფრად მოჩანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი. მწვანე ფონზეა 16 მოკავშირე რესპუბლიკის გერბები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის სიმბოლოს.

წითელი მოედნის მისასვლელებსა და გრანიტის ვრცელ მოედანზე დაწყობილი არიან ჯარები.

სწრაფად ივსება ტრიბუნები. ადგილებს იკავებენ სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, წარმოების ნოვატორები, აქ არიან მსოფლიოს ათობით ქვეყნიდან ჩამოსული უცხოელი სტუმრები. ლოჟებში არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, სამხედრო ატაშეები.

ლენინისა და სტალინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მარშლები, გენერლები და ადმირალები. მოედანზე ოვაცია ქუხს.

მაცხოვრის კარის კოშკის საათის ისრები თითქმის ათ საათს — სამხედრო პარადის დაწყების დროს უჩვენებენ. ტრიბუნებზე სიჩუმე მყარდება. გაისმის კურანტების მელოდიური რეკა. კრემლიდან გამოდის ღია ავტომობილი. შიგ არის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი. ორკესტრი ასრულებს შეხვედრის მარშს. მინისტრს ღია მანქანითვე ეგებება პარადის სარდალი. მოედნის ცენტრში ავტომობილები ჩერდებიან. დილის ჰაერში განსაკუთრებით მკაფიოდ გაისმის პატაკის სიტყვები:

— ამხანაგო საბჭოთა კავშირის მარშალო! მოსკოვის გარნიზონის ჯარები მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის — პირველი მაისის აღსანიშნავად პარადისათვის დაწყობილი არიან, პარადის სარდალია არმიის გენერალი მოსკალენკო.

პატაკის მიღების შემდეგ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა გენერალ კ. ს. მოსკალენკოს თანხლებით ჩამოუარა ჯარებს. იგი მიესალმა მათ, მიულოცა დღესასწაული. პასუხად გაისმის „ვაშა!“.

ჯარების ჩამოვლა დამთავრდა. საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი ადის მავზოლეუმის ტრიბუნაზე. ელვარებს ასობით ბუკი ორკესტრისა, რომელსაც პოლკოვნიკი პეტროვი ხელმძღვანელობს. ორკესტრი შესანიშნავად ასრულებს გლინკას „იდიდეს“. სასიხარულო, მგზნებარე მუსიკა განსაკუთრებით აღნიშნავს სადღესასწაულო მომენტს. მცირე პაუზა და გაისმის ფანფარების მოწოდება:

„ისმინეთ ყველამ“.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი სიტყვას ამბობს.

### საბჭოთა კავშირის მარშლის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო ძვირფასო უცხოელო სტუმრებო!

საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგესალმებით და გილოცავთ პირველ მაისს.

პირველი მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეა. ამ დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელები ცხადყოფენ თავიანთ ერთიანობას იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, თავიანთ მისწრაფებას ბოლომდე დაიცვან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმე.

მესამედი კაცობრიობა პირველი მაისის ტრადიციულ დღესასწაულს აღნიშნავს ახალი, თავისუფალი ცხოვრების პირობებში კაპიტალისტური მონობისაგან სამუდამოდ განთავისუფლებული, აღნიშნავს სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის განუხრელი ზრდისა და განმტკიცების ვითარებაში.

ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხები დღეს ცხადყოფენ თავიანთ ურღვევ ძმურ მეგობრობას და მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის იდეებისადმი ურყევ ერთგულებას, იმას, რომ მზად არიან იბრძოლონ კომუნიზმის საქმისათვის და კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც ყოველთვის, საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებება პირველი მაისის დღესასწაულს. მძიმე მრეწველობის მძლავრი ზრდის საფუძველზე, რაც მიღწეულია ომისშემდგომ წლებში, პარტია და მთავრობა მთელი ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით წარმატებით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, შეაჯამა იმ უდიდესი მუშაობის შედეგები, რაც საბჭოთა ხალხმა გასწია კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში, და მკაფიოდ ცხადყო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ერთიანობა. სესიამ ცხადყო, რომ მუშებს, კოლმეურნეებსა და ჩვენს სახალხო ინტელიგენციას მტკიცე აქვთ გადაწყვეტილი შემოქმედებითად იშრომონ თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ყველა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო, დიდ როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის შემდგომ განმტკიცებაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანების გადაწყვეტაში.

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი მთავრობის მთავარი ამოცანა კვლავ ის არის, რომ არ დაუშვას ახალი ომის გაჩაღება და დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა ყველა სახელმწიფოს შორის, ამ დიადი მიზნის მიღწევას, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის, ესწრაფვის ასეულ მილიონობით ჩვენი მეგობარი სხვა ქვეყნებში.

ამასთანავე ჩვენ ყოველთვის გვახსოვს ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ანდერძი, რომ მუდამ ვიყოთ ფხიზლად, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და ამასთან დაკავშირებით ყოველთვის გამოვიჩინოთ სათანადო ზრუნვა ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისა და მუდმივი სრულყოფისათვის.

ამჟამად საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ გამოზარდა და აღზარდა, რომლებიც გამოწრთობილი არიან საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში და აღჭურვილი არიან პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით, მრისხანე საბრძოლო ძალას წარმოადგენენ. ისინი არიან კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო ბურჯი და მუდამ მზად არიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ამხანაგებო!

დღეს, პირველი მაისის დღეს, პარტია და მთავრობა მოუწოდებენ ყველა საბჭოთა ადამიანს მოიპოვონ ახალი წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

ამისათვის საჭიროა უფრო გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, უფრო მედგრად ვიბრძოლოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, უფრო სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობაში და გავაუმჯობესოთ სახელმწიფო აპარატის მუშაობა.

საჭიროა შეიარაღებული ძალების პირადმა შემადგენლობამ კვლავაც მტკიცედ ამაღლოს თავისი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, აუმჯობესოს თავისი საბრძოლო ოსტატობა.

გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხის დიად ამაფრთოვანებელ და ხელმძღვანელ ძალას!

ვაშა!

* * *

მინისტრის უკანასკნელ სიტყვებზე ჯარები მძლავრად უპასუხებენ „ვაშა!“. დიდებულად გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია. კრემლიდან გრიალებს საარტილერიო სალუტი, რომელიც არყევს ჰაერს და ეფინება მოსკოვის ქუჩებს.

ფანფარები გვაუწყებენ, რომ დაიწყო ჯარების საზეიმო სვლა. ბრძანება „ნაბიჯით, იარ!“ — და ისტორიის მუზეუმიდან დაიძრა პირველი კოლონა. პარადს იწყებენ ნორჩი მედოლეები.

ტრიბუნების წინ მიდიან სამხედრო აკადემიების მსმენელები. აი მოდიან მ. ვ. ფრუნზეს სახელობის წითელდროშოვანი ლენინის ორდენოსანი და სუვოროვის 1-ლი ხარისხის ორდენოსანი სამხედრო აკადემიის ბატალიონების მონოლითური რიგები. მოდიან მებრძოლი ოფიცრები. წინ მოდის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი ჟადოვი, ორდენების ლენტებით შეგრაგნილი წითელი დროშა მოაქვს პოდპოლკოვნიკ რეშეტნიკოვს. მისი ასისტენტები არიან მაიორი სტეპანჩენკო და უფროსი ლეიტენანტი ბელოზერცევი; მათ მკერდს უმშვენებენ საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავები.

ფრუნზეს სახელობის აკადემია მაღალკვალიფიციურ მეთაურთა კადრების მომზადების სამჭედლოა. ამჟამად მის ფაკულტეტებზე მეცადინეობენ 29 ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა კავშირის 50 გმირი.

მოდის ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი სამხედრო-პოლიტიკური აკადემია. ოცდათხუთმეტი წელიწადია, რაც არსებობს არმიისა და ფლოტის პოლიტმუშაკთა ეს უმაღლესი სკოლა. მისი მსმენელები იზრდებიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე, მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერების მიღწევებზე. პირადი მაგალითი ბრძოლასა და სწავლაში გახდა ამ მოკრძალებული, მამაცი ადამიანების კანონი. მწყობრში მოდიან საბჭოთა კავშირის გმირები გოლოგოიდა, კუზნეცოვი, ჩაიკა.

მაისის მზის სხივებზე ლაპლაპებენ ორდენები და მედლები. მეომრების მწყობრი კოლონების თავზე ფრიალებენ წითელი საბრძოლო დროშები. პარადის მონაწილეთა ნაბიჯი ზუსტია, წყობა იდეალურია. მოდიან არტილერიის, ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების,

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

(დასასრული)

საინჟინრო, სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო აკადემიების მსმენელები. ტრიბუნები მხურვალედ უკრავენ ტაშს ოფიცრებს.

ახალი და ახალი ნაწილები შემოდიან წითელ მოედანზე. მეზღვაურთა რიგების თავზე ტალღასავით ლივლივებს თეთრ-ცისფერი სამხედრო-საზღვაო ალამი. ლამაზად მოდიან მეზღვაურები! ფართო ნაბიჯი, რიგების ზუსტი წყობა. მეზღვაურთა ნაკრებ პოლკს მოუძღვის ნაცადი მხედართუფროსი კონტრ-ადმირალი სტეპანოვი. ოფიცერთა შორის არის კრეისერ „ავრორას" ყოფილი მატროსი მეორე რანგის კაპიტანი ციცენოვეტსკი. იგი და სხვა ოფიცრები ახალგაზრდობას გადასცემენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, ცოდნას.

ჩვენი შეიარაღებული ძალებისადმი სიყვარულსა და სიამაყეს იწვევენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის ქვეითი ჯარის უძველესი სასწავლებლის კურსანტები. თითქოს საგანგებოდ შერჩეული ახოვანი კურსანტები მოაბიჯებენ ისტორიულ მოედანზე. ათასობით მებრძოლი მეთაური მისცა სამშობლოს ამ სასწავლებელმა.

მქუხარე ტაშით ხვდებიან ტრიბუნები მესაზღვრეთა გამოჩენას. ზღუდეების ფხიზელი გუშაგები! ვინ არ იცის მათი გმირობა. სწორედ ისინი გაუმკლავდნენ პირველნი დამპყრობთ, თავს არ იზოგავდნენ და იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწაწყალს. ისინი არიან, რომ ახლა მთებში, ტყეებში, უწყლო ქვიშნარებში, დღისით და ღამით იცავენ ჩვენს საზღვრებს.

შაშხანამომარჯვებულნი მწყობრად მოდიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილების ჯარისკაცები. პარადში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მედესანტე პარაშუტისტებმა.

მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ სამხედრო პარადის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებს — სუვოროველებს ტულიდან და ნოვოჩერკასკიდან, ნახიმოველებს — ლენინგრადიდან. ნოვოჩერკასკის სუვოროვის სამხედრო სასწავლებლის აღსაზრდელებმა მღელვარებითა და სიამაყით პირველად გაატარეს თავიანთი დროშა წითელ მოედანზე. პარადში მონაწილეობის მაღალი პატივის ღირსი ისინი გახდნენ სწავლაში, დისციპლინაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. სასწავლებელმა მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც სუვოროვის სამხედრო სასწავლებლებისათვის დაწესდა ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავის აღსანიშნავად. სასწავლებელი დაჯილდოებულია აგრეთვე ა. ვ. სუვოროვის ბრინჯაოს სკულპტურული პორტრეტით, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საპატიო სიგელით.

ჰაერში მოფრინავენ მძიმე რეაქტიული ბომბდამშენები. წლითიწლობით იზრდება ჩვენი შეიარაღებული ძალების ტექნიკური აღჭურვილობა. მაღალია ჩვენი ავიაციის ტექნიკური პროგრესი. აღტაცებას იწვევს უზარმაზარი საფლაგმანო რეაქტიული ხომალდი. მძლავრი, დღემდე უმაგალითო მანქანა! ჯგუფი მოჰყავთ პოდპოლკოვნიკ სარიგინსა და პოლკოვნიკ როშჩინს. ტრიბუნები ტაშით ხვდებიან მათ. შემდეგ — მოკლე პაუზა, და ტრიბუნები კვლავ უკრავენ ტაშს: ვერცხლისფერ ელვასავით გაისრიალებენ ჰაერში სხვადასხვა კონსტრუქციის რეაქტიული ბომბდამშენები. ამ შესანიშნავი მანქანების შტურვალებს უსხედან საბჭოთა კავშირის გმირები პოლკოვნიკი ხვოსტუნოვი და პოლკოვნიკი კიბალკო, რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ბომბდაშენისა და ფრენის ოსტატები, საბჭოთა კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი შანდულა, პოდპოლკოვნიკები აგაფონოვი, ლუკინი.

საყოველთაო აღტაცებას იწვევს ფრენა რეაქტიული ავიაგამანადგურებლებისა, რომლებსაც მეთაურობს პოლკოვნიკი ასტახოვი. ჩქარი რეაქტიული თვითმფრინავები მეტეორივით ზუზუნით სერავენ ცას მოედნის თავზე.

ამავე დროს გრძელდება სახმელეთო ჯარების პარადი. შეუკავებელ ნაკადად წამოვიდნენ მოედნისაკენ ჯავშანტრანსპორტიორები. მოტორების გუგუნმა აუწყა დამსწრეთ ტამანის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიის დივიზიის გამოჩენა.

ეუფლებიან რა ტექნიკას, რომელსაც მათ სამშობლო აძლევთ, ქვეითები წმიდად იცავენ საბრძოლო ტრადიციებს. დივიზიის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა რუსის — გვარდიის სერჟანტის ორლოვის და უკრაინელის — გვარდიის უფროსი სერჟანტის მარჩენკოს სახელები. ყოველდღე შემოწმებაზე იძახებენ მამაცთა სიკვდილით დაღუპულ მეომრებს, საბჭოთა კავშირის გმირებს ნოსოვსა და ლაარს.

ვეტერანების გვერდით სწრაფად მიმავალ მანქანებში არიან ახალგაზრდა მეომრები, რომლებსაც წილად ხვდათ პატივი — მონაწილეობა მიიღონ პარადში.

ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო ტამანის დივიზიის მოტორთა გუგუნი, რომ დაიწყო არტილერიის მარში. იგი დაიწყეს „ზისების" კოლონებმა. თვითეული მათგანის მისაბმელზე არის ქვემეხი. ზუსტი მწყობრით მოქრის მსუბუქი სამანევრო არტილერია. მატულობს ქვემეხთა კალიბრი. აი მოდიან მძლავრი საზენიტო დანადგარები. მათ ცვლიან ჰაუბიცები, შორს სასროლი არტილერია, რომელიც მუხლუხა საწევრებით მოაქვთ. დიდი მოწონებით ხვდებიან პირველი მაისის პარადის სტუმრები ახალი გვარდიული ნაღმსატყორცნების გამოჩენას.

საბრძოლო ტექნიკის მარში დიდებულია. საბჭოთა მეცნიერებმა სამშობლოს დამცველები აღჭურვეს იარაღით, რომელმაც მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს მიაღწია. ამ იარაღს წარმატებით ეუფლებიან ჩვენი ჯარისკაცები და ოფიცრები.

წითელ მოედანზე ჯარების სვლა დაამთავრა ნაკრებმა სამხედრო ორკესტრმა. მწყობრში ასას კაცად მიდიოდა ათასბუკიანი ორკესტრი, რომელიც კომპოზიტორ რუნოვის „დედაქალაქის მარშს" ასრულებდა.

დაუვიწყარ სანახაობას წარმოადგენდა პირველი მაისის პარადი. მან მკაფიოდ დაგვანახვა ძლიერება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი შრომის, უშიშროების სადარაჯოზე.

* * *

წითელ მოედანზე, რომელსაც მზე დაჰკაშკაშებს, გამოდიან მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილენი. მისასალმებელი შეძახილებით, ტაშით ეგებებიან ტრიბუნები დედაქალაქის რაიონების სადღესასწაულო კოლონებს. წინ ამაყად ფრიალებს მოსკოვის დროშა, რომელსაც ლენინის ორდენი ამკობს. იგი მოგვაგონებს დიდი ქალაქის — ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ რუსეთის გაერთიანების საფუძვლის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მქადაგებლის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

როგორც საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ძმობის სიმბოლო, მაღლა აღმართულია სსრ კავშირის მოელვარე გერბი, რომელსაც გარს არტყია თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის გერბიანი ალმები.

ფანფარებისა და დოლის დაკვრით შემოდის მოედანზე მოსკოველ პიონერთა ნაკრები რაზმი, რომელსაც თან მოაქვს მრავალფერი ყვავილების თაიგულები. მოდიან სწავლის ფრიადოსნები, ნორჩი მიჩურინელები და ტექნიკოსები, გეოგრაფები და ფიზიკოსები, მათემატიკოსები და გეოლოგები, სოციალისტური წარმოების მომავალი სპეციალისტები. პიონერებს მაღლა აღუმართავთ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტებიანი ალისფერი დროშები.

სიხარულით აღსავსე, აღფრთოვანებული არიან ბავშვები! ისინი აღტაცებით შეჰყურებენ ტრიბუნებს, კრემლს, სადაც წელს შესანიშნავ დღესასწაულებზე იყვნენ. რამდენიმე გოგონა და ბიჭი გამოეყო მიმავალ რაზმს და გაექანა მავზოლეუმისაკენ. მათ აირბინეს გრანიტის საფეხურები და მოედანზე მყოფთა ერთსულოვანი ტაშის გრიალში უძღვნეს ყვავილები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ორკესტრები მარშს უკრავენ. ექვსი ათასი ფიზკულტურელი გამოდის მოედანზე, გაზაფხულის სხვადასხვა ფერად ლივლივებენ სასპორტო საზოგადოებათა. ნაირფერი მაისურებით გამოწყობილ ჭაბუკთა და ქალიშვილთა მწკრივები. ზუსტი რიტმით მოქრიან ახალგაზრდა მუშები, შრომის რეზერვების სკოლების მოსწავლეები, სტუდენტები, რომლებიც თავისუფალ დროს საყვარელ სპორტს ახმარენ. მათი წრიდან გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები, მსოფლიო რეკორდსმენები.

ერთად აღიმართა ჰაერში ათასობით თაიგულიანი ხელი! გიგანტური ყვავილნარი გაიშალა ტრიბუნების წინ.

მოდის წითელი დროშების ტალღა. დემონსტრანტთა კოლონებმა ორი მხრიდან შემოუარეს ისტორიის მუზეუმის შენობას და მძლავრ ნაკადად გაერთიანდნენ. შემოქმედებითი ძალღონით, ახალი გამარჯვებებისადმი რწმენით აღსავსე მოდის შემოქმედი, ახალი ცხოვრების შემქმნელი ხალხი.

დემონსტრანტებს მოაქვთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის პორტრეტები. მოაქვთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის პორტრეტები.

მოედანზე შემოდიან მოსკოვის საწარმოების წარმომადგენელთა კოლონები — მეტალურგები, მანქანათმშენებლები, ფეიქრები, მშენებლები. მათ მოაქვთ მოელვარე დროშები, პლაკატები, დიაგრამები, ტრანსპარანტები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ რა წარმატებით შეასრულა მოსკოვის მრეწველობამ 1954 წლის პირველი კვარტალის პროგრამა. ათობით სხვადასხვა სახეობის ახალ პროდუქციას უშვებენ დედაქალაქის საწარმოები.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მოწინავე საწარმოებმა წამოიწყეს შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, არსებულ საწარმოო ფართობებზე პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობა ფართოდ გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში.

დროშას აწერია ლენინის უკვდავი სიტყვები: „შრომის ნაყოფიერება, ეს საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად". სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც 25 წლის წინათ დაიწყო, კომუნისტური მშენებლობის მეთოდი გახდა და უმაგალითო შედეგები მოგვცა. ამ წლების მანძილზე სსრ კავშირის მარტო მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება [illegible] შეჯიბრებაში გამარჯვებულნი. ავტოქარხნელებთან ერთად მოდიან პირველხარისხოვანი ელექტრომანქანების შემქმნელები — კიროვის სახელობის „დინამოს" ქარხნის მუშები.

წითელ მოედანზე მოდიან სახელოვანი მოსკოველი ფეიქრები. ძოწეულ დროშებში ჩაწნულია ნაზად და ნატიფად მოფერადებული ქსოვილები.

პარტია და მთავრობა ხალხის შემოქმედებითს ძალებს იმას ახმარენ, რომ დაჩქარდეს სახალხო მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის განვითარების ტემპი. თვითეული ოჯახი, თვითეული საბჭოთა ადამიანი ყოველდღე გრძნობს თავისი შრომის ნაყოფს, იმას, რომ მშობლიური კომუნისტური პარტია ზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის. აპრილის გეგმა ვადამდე შეასრულა კომბინატმა „ტრიოხგორნაია მანუფაქტურამ". სამოცდათვრამეტი ათასი წყვილი კარგი და ლამაზი ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით — ასეთია ფაბრიკა „ბურევესტნიკის" — მუშების მრეწველობის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს საპირველმაისო საჩუქარი.

წელს მოსკოვში გაზაფხულმა დაიგვიანა, მაგრამ წითელ მოედანზე იგი მთელი თავისი სიდიადით მოვიდა. ჰყვავის ვაშლის ბაღები. გაფოთლილი იასამნის მძიმე ტოტები, ტულიპების და წითელი ყაყაჩოების ნაზი ფურცლები ირხევა სადღესასწაულო კოლონებში. უეცრად მოედნის ცენტრში ჩნდება ოქროს ყანა.

ოქროსფრად მობიბინე ყანაში წითელი დროშების ფონზე ჩანს კომბაინერისა და კოლმეურნე ქალის ფიგურები. მათ მაღლა უჭირავთ შემოსული ხორბლის მძიმე ძნა. ეს არის ემბლემა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისა, რომელიც მოსკოვში იხსნება 1 აგვისტოს.

მხატვარმა ტილოზე აღბეჭდა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად მოსკოველ კომკავშირელთა გამგზავრების მომენტი. ჩვენი ქვეყნის ათეულ ათასობით პატრიოტმა მიბაძა დედაქალაქის სახელოვან ახალგაზრდობის მაგალითს. ისინი დღეს პირველ მაისს ეგებებიან ურალსა და ციმბირში, ვოლგისპირეთსა და ყაზახეთში.

სულ უფრო ელვარე და ლამაზი ხდება დღესასწაული, უფრო ხმამაღლა ჟღერს მუსიკა. გაისმის საპირველმაისო მოწოდებათა შთამაგონებელი სიტყვები. დემონსტრანტთა რიგებში არიან სსრ კავშირის ხალხთა ეროვნულ კოსტიუმებით გამოწყობილი ქალიშვილები და ჭაბუკები. ღიმილიანი სახეები, მხიარული სიცილი, სიმღერები. ორი-ერთი კოლონას მოაქვს რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბები. ისინი შეერთებულია ლენტით, რომელსაც წარწერილი აქვს: „სამუდამოდ ერთად".

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი მთელ ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება როგორც დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. მრავალი კოლონის გაფორმება ასახავს რუსისა და უკრაინელი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის თემას, რაც თავს იჩენს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ტრიბუნებს ჩაუარა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის — მოწინავე საბჭოთა მეცნიერების შტაბის კოლონამ, აკადემიისა, რომლის მთელი მონაპოვარი ხმარდება ხალხის კეთილდღეობას.

მოდიან მშენებლები და არქიტექტორები — ახალი საცხოვრებელი სახლების, კულტურის სასახლეების, სკოლების, მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგურების შემქმნელნი. ამ ნაგებობებში შესანიშნავად არის გამოხატული პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ოქროსფრად ბრწყინავს მოსკოვის დაწესებულებათა, სამინისტროთა და ინსტიტუტთა ხან ერთი, ხან მეორე ემბლემა. ტრიბუნებიდან მიესალმებიან საბჭოთა კულტურის მუშაკებს — მწერლებს, კომპოზიტორებს, თეატრებისა და კინოსტუდიებს.

ადამიანთა ნაკადს მოაქვს ტრანსპარანტები, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა კავშირის ურყევ მისწრაფებაზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისადმი, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისადმი.

ტილოებზე წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სიტყვები:

— ყველა ქვეყნის მშრომელებო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, გაამრავლეთ და დარაზმეთ მშვიდობის მომხრეთა რიგები! გაუმარჯოს ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას!

მოსკოვის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს მოაქვთ მხატვრული პანოები, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის აყვავებაზე. დროშების ფონზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლიუ შაო-ცის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ჯუ დეს პორტრეტები.

1 მაისის დღეს საბჭოთა ადამიანები ძმურ სალამს უთვლიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც ახალ სოციალისტურ ცხოვრებას აშენებენ, წარმატებით იბრძვიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის. საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებს მოაქვთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პორტრეტები. დემონსტრანტებს მაღლა აუწევიათ წითელი ტილოები, რომლებზეც მოჩანს სიტყვები ღრმა სოლიდარობისა საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის იმ წინადადებებისადმი, რომ დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ, აგრეთვე მოწესრიგდეს კორეისა და ინდოჩინეთის საკითხები.

მოსკოვის კრემლის კედლებიდან შორეული კორეისაკენ მიმართულია ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირი ხალხისადმი.

საბჭოთა ადამიანები 1 მაისის დღეს მიესალმებიან გერმანიის დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მესამე მსოფლიო ომის კერად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ.

დემონსტრანტებს წითელ მოედანზე მოაქვთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

საერთაშორისო დღესასწაულის — 1 მაისის დღეს საბჭოთა ქვეყნის ხალხები მიესალმებიან იაპონელ ხალხს. პლაკატებზეა ძმური მისალმების სიტყვები კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

წითელ მოედანზე გაისმის მისალმება ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, რათა განმტკიცდეს მათი მეგობრობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ომის თავიდან აცილებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში. დემონსტრანტები გამარჯვებას უსურვებენ მეგობრობას საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთისა და იტალიის ხალხებს შორის.

ტრიბუნებიდან დემონსტრაციის მონაწილეთა კოლონების თავზე მოჩანს უცხო ქვეყნების — საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდოეთის, ბრაზილიის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

რამდენიმე საათს გრძელდება დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრაციას ამთავრებს ფიზკულტურელთა მრავალათასიანი რაზმი. მოედანზე კვლავ მოჩანს სასპორტო საზოგადოებათა ფერად-ფერადი დროშები, კვლავ ფიზკულტურელთა კოლონებს თავზედ ყვავილების თაიგულები. და მთელ ამ მბრწყინავ ზღვაზე გიგანტური ასოებით შედგენილი საბჭოთა ადამიანების წმიდა დევიზი:

წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

წითელ მოედანზე დედაქალაქის მშრომელთა საპირველმაისო მსვლელობა გადაიქცა პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად, რომელიც მთელ თავიანთ ძალებსა და შემოქმედებით ენერგიას ახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიად საქმეს.

(საკდესი).

# საბჭოთა ხალხმა ზეიმით იდღესასწაულა 1 მაისი

ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხეში საბჭოთა ადამიანებმა ზეიმით იდღესასწაულეს 1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე. ამ დღესასწაულს საბჭოთა ხალხი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობით, სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო კიდევ უფრო მჭიდრო დარაზმულობით შეხვდა.

საბჭოთა კავშირის მშრომელები სადღესასწაულო დემონსტრაციაზე გამოვიდნენ და მოჰქონდათ ალმები, რომლებზეც ელვარებდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მგზნებარე მოწოდებანი, პატაკები შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებათა შესახებ. ისინი ცხადყოფდნენ, რომ მზად არიან ენერგიულად განახორციელონ მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს.

დიდია ჩვენი სამშობლოს სივრცეები. იმ დროს, როცა მოსკოველები და ლენინგრადელები ჯერ კიდევ მხიარულობდნენ სადღესასწაულო საღამოებზე, ხაბაროვსკის მცხოვრებლები უკვე იკრიბებოდნენ პირველი მაისის დემონსტრაციაზე. იგი სამ საათს გაგრძელდა. დემონსტრანტთა რიგებში რუს ძმებთან ერთად იყვნენ შორეულ ჩრდილოეთის ხალხთა წარმომადგენლები — ლუორა-ვეტლანები, იტელმენები, ესკიმოსები, ალეუტები, ნანაელები, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნა მხიარული, ბედნიერი ცხოვრების გზა. სადღესასწაულო დემონსტრაციაზე გამოვიდნენ ამურის კომსომოლსკის, სოვეტსკაია გავანის, კამჩატკის პეტროპავლოვსკის, ბირობიჯანის, ამურის ნიკოლაევსკისა და ხაბაროვსკის მხარის სხვა ქალაქების მცხოვრებნი.

ასევე ადრე დაიწყო დღესასწაული ვლადივოსტოკში. წყნარი ოკეანის ფლოტის გემების საზღვაო პარადისა და ვლადივოსტოკის გარნიზონის ნაწილების პარადის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია. კოლონებში საპატიო ადგილი უკავიათ ზღვისპირეთის მეთევზეებს.

მრავალათასიანი დემონსტრაცია გაიმართა შორეულ იაკუტსკში. ირგვლივ მოჩანს დროშები, პლაკატები, ყვავილები. დემონსტრანტებს მოაქვთ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, მრავალი ტრანსპარანტი, რომლებზეც ელვარებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი. აი მარცვლეული კულტურების, თავთავების, მზესუმზირას, სხვადასხვა ბოსტნეულის მაკეტები — ყველაფერი ეს იაკუტიაში მოჰყავთ.

... ლენინის ქალაქი. დიდებული და წყნარია ნევა. ათასობით ადამიანი უყურებს ბალტიის საბრძოლო გემებს, რომლებიც სამხედრო-საზღვაო პარადისათვის მოვიდნენ. სასახლის მოედანზე პარადით მოდიან ლენინგრადის გარნიზონის ჯარები. მათ შემდეგ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა კოლონები. ჰაერში ფრიალებენ პლაკატები მისასალმებელი წარწერებით მოძმე ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, პატაკები საპირველმაისო შეჯიბრებაში მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ.

მოედანზე მოდიან სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის ტურბინმშენებლები. ისინი უპატაკებენ: ორთქლის ტურბინების სიმძლავრემ, რომლებიც მარტო გასულ წელს გამოუშვა ქარხანამ, ორჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა მეფის რუსეთის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეს. დღესასწაულის წინ ქარხანამ ვადამდე დაამზადა დიდი ორთქლის ტურბინი. ქარხნების „ელექტროსილის", „წითელი ვიბორგელის", მოლოტოვის სახელობის ქარხნის კოლექტივთა წარმომადგენლებს მოაქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სამინისტროების გარდამავალი წითელი დროშები, რომლებიც მიენიჭათ ამ ქარხნებს წარმატებებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში — კიევში, მინსკში, ბაქოში, ტაშკენტში, რიგაში, ვილნიუსში, ტალინში, ალმა-ატაში, კიშინიოვში, თბილისში, ერევანში, პეტროზავოდსკში, ფრუნზეში, სტალინაბადში, აშხაბადში გაიმართა სამხედრო პარადები და მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები. ხალხმრავალი სადღესასწაულო დემონსტრაციები მოეწყო სხვა ქალაქებშიც.

საზეიმოდ მორთულა, მწვანით შემოსილა, წვიმის შემდეგ თითქოს გაახალგაზრდავებულა ძველი კიევი. კრეშჩატიკზე მომავალ კოლონებს მოაქვთ პლაკატები და ტრანსპარანტები, რომლებზეც ასახულია კიევის მრეწველობის წვლილი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ქალაქის 40-ზე მეტი საწარმო უშვებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მათს სათადარიგო ნაწილებს. 300 საშეფო კოლმეურნეობაში მექანიზებულია შრომატევადი პროცესები ფერმებში, აშენებულია ელექტროსადგურები, სათბურები.

დიდ მოძმე ხალხთან მეგობრობა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან მეგობრობა საბჭოთა უკრაინას დაეხმარა კიდევ უფრო მკაფიოდ იკაშკაშოს მოძმე რესპუბლიკების თანავარსკვლავედში. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება როგორც დიდი [illegible] დღესასწაული. კიევლები, [illegible] კოლონებში მოდიან, მოაქვთ პანოები და ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია ხალხთა სიყვარულისა და მეგობრობის სიტყვები. ოქროს და ვერცხლისფრად ელვარებს ალმებით გარშემორტყმული რიცხვი „300". დემონსტრანტებს მოაქვთ დიდი სურათი „სამუდამოდ ერთად".

ყაზახეთის დედაქალაქი ალმა-ატა ჩაფლულია მწვანეში, სავსეა აყვავებული ვაშლის სურნელებით. საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული უფლების მიხედვით დემონსტრაცია გახსნა ლენინის რაიონმა. შემდეგ მოდიან ფრუნზეს, სტალინის, კაგანოვიჩის რაიონების მშრომელები.

სარემონტო-მექანიკური და სამსხმელო-მექანიკური ქარხნების, ქარხანა „ოქტომბრის XX წლის" კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს ოთხი თვის გეგმა. ამ საწარმოებმა ყაზახეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც ყამირი და ნასვენი მიწები უნდა აითვისონ, გაუგზავნეს ტრაქტორების დიდძალი სათადარიგო ნაწილები, საველე ვაგონები მექანიზატორებისათვის, ცისტერნები საწვავისათვის.

დემონსტრანტებს მოაქვთ ყაზახეთის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რუკები, ტრანსპარანტებს აწერია მისალმებანი მოსკოვის, ლენინგრადისა და რუსეთის სფსრ სხვა ქალაქების, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, საქართველოს, სომხეთისა და სხვა რესპუბლიკების წარგზავნილთადმი, რომლებიც პარტიის მოწოდებით ჩამოვიდნენ ყაზახეთში ახალი მიწების ასათვისებლად.

ხალხმრავალი და სადღესასწაულო იყო დემონსტრაცია ტალინში.

„გაუმარჯოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს!" — აწერია ტრანსპარანტებს. ელექტრომანქანათმშენებელი ქარხანა „ვოლტას", ტალინის მანქანათმშენებელი ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებს არა მარტო თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მანქანათმშენებლობის განვითარებაში, არამედ გადაჭარბებით ასრულებენ სოფლის საპატიო დაკვეთებს. ათასამდე ელექტრომოტორი დაამზადა წლის დამდეგიდან დავალების დამატებით ქარხანა „ვოლტამ". ბევრი ამ ძრავთაგანი იმუშავებს მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სიხარულით შეხვდა დღესასწაულს საბჭოთა ლატვიის დედაქალაქი რიგა. დილით ხალხით გაივსო სადღესასწაულოდ მორთული პროსპექტები და ქუჩები. მუსიკა, მხიარული სიმღერები გაისმის კოლონებში.

დემონსტრანტთა პირველ რიგებშია რიგის ვაგონმშენებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა ოთხი თვის გეგმა და გამოუშვა ბევრი ზეგეგმითი პროდუქცია. რესპუბლიკის მოწინავე კომბინატის „რიგას მანუფაქტურის" მქსოველებმა და მრთველებმა, რომლებიც უპატაკებენ იმის შესახებ, რომ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათეულ ათასობით მეტრი ქსოვილი, აითვისეს 40-ზე მეტი სახეობის საფეიქრო პროდუქცია.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნების „იმანტისა" და „ტერაუდსის", სუპერფოსფატის ქარხნის კოლექტივებმა საპირველმაისო დღესასწაულისათვის ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. ბევრი სასოფლო-სამეურნეო მანქანა გაიგზავნა რიგიდან ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. რამდენიმე ეშელონი მინერალური სასუქი გაეგზავნა ლატვიისა და მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

პარტიის მოწოდებით ჩვენი სამშობლოს ათეულ ათასობით პატრიოტი გაემგზავრა ყაზახეთის, ციმბირისა და ვოლგისპირეთის რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

სოფელი რუზაევკა. აქ, შორეული ყაზახეთის იშისპირა ველში დღესასწაულობენ უკრაინის, ყუბანის, მოლდავეთის, უზბეკეთის წარგზავნილნი... საცხოვრებელი კარვები, მოძრავი ვაგონები, საველე ბანაკები მორთულია წითელი დროშებითა და პლაკატებით, რომლებიც მოუწოდებენ იბრძოლონ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის.

1 მაისის დღეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე მშრომელები წარმოთქვამდნენ თავიანთი დიადი სამშობლოს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სადღეგრძელოს, ისინი მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ენერგიულად იბრძოლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მშრომელთა ხალხმრავალი სადღესასწაულო მსვლელობა გადაიქცა პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად, ცხადყო კომუნისტური პარტიისადმი საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარული და ნდობა.

დღესასწაული გვიან ღამემდე გრძელდებოდა. ქუჩებში და მოედნებზე, სტადიონებზე, პარკებში გაიმართა სახალხო სეირნობა, სპორტული შეჯიბრებანი, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები. საღამოს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში ცა გააცისკროვნა სადღესასწაულო სალუტმა. (საკდესი).







პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ქ. თბილისში რუსთაველის პროსპექტზე 1954 წლის 1 მაისს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ქ. თბილისში რუსთაველის პროსპექტზე 1954 წლის 1 მაისს. მთავრობის ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები თ. ჯანელიძე, ე. სეხნიაშვილი, მ. ლელაშვილი, მ. კუჭავა, ო. გოცირიძე, გ. ჯავახიშვილი, ა. ანტონოვი, ვ. მჟავანაძე, მ. გიორგაძე, ა. ინაური, დ. მჭედლიშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

# საქართველოს მშრომელებმა უდიდესი ზეიმითა და სიხარულით იდღესასწაულეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და ძმობის დღე—1 მაისი

## მაისობა თბილისში

მრავალმილიონიანმა საბჭოთა ხალხმა მძლავრი პოლიტიკური, სამეურნეო და შრომითი აღმავლობის ვითარებაში იდღესასწაულა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე — 1 მაისი.

თითქოს ბუნებაც თანაუგრძნობს მოზეიმე ხალხს, მზის სხივები უხვად ეფინება რესპუბლიკის დედაქალაქს. თბილისი საზეიმოდ არის მორთული. ქუჩებში და მოედნებზე ფრიალებენ წითელი დროშები. შენობების ფასადებზე ირხევიან ალისფერი ტილოები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებით.

დიდებული სანახავია მთავრობის სასახლის წინა მოედანი — თბილისელ მშრომელთა სახალხო დღესასწაულის ადგილი. მთავრობის სასახლის სვეტებიანი ფასადი მორთულია ალისფერი ტილოებით. შენობის თავზე ფრიალებს 16 დროშა. ცენტრში გადმოფენილია უზარმაზარი წითელი მატერია, რომელზეც დახატულია კომუნისტური პარტიის გენიალური დამაარსებლისა და ბრძენი ბელადის ვ. ი. ლენინის, მისი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის პორტრეტები. საბჭოთა კავშირის გერბის გაყოლებით მოთავსებულია პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

პარადის დაწყებამდე რამდენიმე წუთია დარჩენილი. სასახლის წინ ტრიბუნასთან არიან თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მოწინავეები, წარმოების ნოვატორები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

რუსთაველის პროსპექტზე ჩამწკრივდნენ ჯარის ნაწილები.

ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები: ვ. მჟავანაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. გიორგაძე, ო. გოცირიძე, დ. მჭედლიშვილი, მ. კუჭავა, ა. ინაური, მ. ლელაშვილი, ე. სეხნიაშვილი, თ. ჯანელიძე და სხვები.

10 საათია... ლენინის მოედნის მხრიდან ცხენით შემოდის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ა. ანტონოვი. მის შესახვედრად გაემართა პარადის სარდალი გენერალ-მაიორი გლადკოვი. ამხ. ანტონოვი პატაკს იღებს და პარადის სარდალთან ერთად ჩამოუვლის ჯარებს, მიესალმება ჯარისკაცებსა და მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს, ოფიცრებსა და გენერლებს, და ულოცავს მათ პირველი მაისის დღესასწაულს. მქუხარე „ვაშა" მძლავრ ტალღად გაისმის მისალმების პასუხად. ორკესტრი ასრულებს შემხვედრ მარშს.

ჯარების ჩამოვლა დამთავრდა. ამხ. ანტონოვი ტრიბუნაზე ადის და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის სახელითა და დავალებით სიტყვით მიმართავს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებს, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს. ამხ. ანტონოვი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის შესანიშნავ მიღწევებზე, სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის დიდებულ პროგრამაზე, რომელიც დასახულია საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ გადაწყვეტილებებში.

არმიის გენერალი ანტონოვი ეხება საქართველოს მშრომელთა წარმატებებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით.

— ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრები, — ამბობს დასასრულ ამხ. ანტონოვი, — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს — 1 მაისს ხვდებიან ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. ისინი მტკიცედ დაიცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებით შრომას.

ამხ. ანტონოვი ამთავრებს თავის სიტყვას და დღეგრძელობას უსურვებს საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას.

გრიალებს მძლავრი „ვაშა". სადღესასწაულო სალუტის ზალპები ერთვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის აღმაფრთოვანებელ მელოდიებს.

ფანფარებისა და დოლის ხმა იუწყება სამხედრო პარადის დაწყებას. პარადს ხსნიან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ოფიცრები. მოდიან სამხედრო სასწავლებელთა კურსანტები, ქვეითები, მესაზღვრეები, ახალგაზრდა მეზღვაურები — ნახიმოველები. მათ შორის ბევრია დიდი სამამულო ომის სახელგანთქმული მონაწილე, რომელთა მკერდს საბრძოლო ორდენები და მედლები ამშვენებს.

მომხიბლავია სახელოვანი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მწყობრი სვლა, სიამაყის გრძნობას იწვევს მათი სამხედრო გაწვრთნილობა. მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი საბჭოთა მეომრები მტკიცედ იცავენ ჩვენი ხალხის უშიშროებას. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი სვლა კომუნიზმისაკენ.

მოედანზე მყოფი მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან ჩვენი სამშობლოს ღირსებისათვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის დიდ ბრძოლებში გამოწრთობილ მამაც საბჭოთა მეომრებს.

იწყება თბილისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია. ტრიბუნის წინ გამოჩნდა კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვრების მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის პორტრეტები. ისინი მოაქვთ მოსწავლეებს, კომუნიზმის მომავალ მშენებლებს.

პროსპექტზე მოდიან პიონერები, მოსწავლეები, სტუდენტები, ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ქალიშვილები და ჭაბუკები, მოაქვთ ტრანსპარანტები, თაიგულები, ცოცხალი ყვავილები... ფერადოვანი პლაკატები. მათზე წარწერილია სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მხურვალე მადლობას კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, სახიხარულო ბედნიერი ბავშვობისათვის. მრავალ ტრანსპარანტზე ელვარებს მოწოდება „მშვიდობა და მეგობრობა!". ბავშვებმა ჰაერში აიფრინეს თეთრი მტრედები, მშვიდობის ფრთოსანი მაუწყებლები.

მოსწავლეთა კოლონების შემდეგ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ტრიბუნასთან პირველნი მოდიან ლენინის რაიონის მშრომელები. ფერად ნაკადებად შემოდიან პროსპექტზე სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, ორჯონიკიძის და ქალაქის სხვა რაიონების მშრომელთა კოლონები. მათ მოაქვთ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, მოძმე კომპარტიების გამოჩენილი მოღვაწეების სურათები. პროსპექტი იფარება ალისფერი ალმებით. პლაკატები, ტრანსპარანტები, დიაგრამები მოგვითხრობენ მშვიდობიან, შემოქმედებით შრომაში მოპოვებულ გამარჯვებებზე.

სადღესასწაულო მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა, რომლებიც დარაზმული არიან ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევ ძმურ ოჯახად.

ხალხთა ერთიან ოჯახში ლენინურ-სტალინური ბრძნული ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად საქართველო მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკად გადაიქცა. დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით განუხრელ აღმავლობას განიცდის მისი ეკონომიკა, იფურჩქნება საბჭოთა საქართველოს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციამ ცხადყო საბჭოთა ადამიანების ერთიანობა და დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მათი მზადყოფნა — მთელი ძალღონე მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

* * *

საქართველოს დედაქალაქმა თბილისმა უდიდესი ზეიმითა და სიხარულით იდღესასწაულა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — 1 მაისი. პროსპექტები, ქუჩები, მოედნები და ბაღები დილიდან გვიან ღამემდე გაჭედილი იყო მოზეიმე ადამიანებით. ლენინის მოედანზე, საზაფხულო პარკებში მოეწყო დიდი სახალხო სეირნობანი. 1 მაისის აღსანიშნავ კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის დრამატული და საოპერო თეატრების, ესტრადის საუკეთესო მსახიობებმა.

საღამოს სადღესასწაულოდ მორთულ და ფერად-ფერადი ნათურებით გაჩირაღდნებულ თბილისში პირველი მაისის აღსანიშნავად მიცემულ იქნა საარტილერიო სალუტის მძლავრი ზალპები.




პიონერები და მოსწავლეები მიდიან ტრიბუნის წინ.

ფოტო ვ. ზარიძისა.

## სოხუმი

1 მაისის წინადღეს ახალი საჩუქარი მიიღეს სოხუმის მშრომელებმა—ქალაქის ცენტრში, მთავრობის სასახლის წინ გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი მოედანი. 1 მაისს დილით მარადმწვანე მცენარეებითა და ყვავილებით დაფარულ ამ ფართო მოედნისაკენ დაიწყო საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეთა დენა. დემონსტრანტთა კოლონებს მოუძღვებიან ქალაქის საშუალო სკოლების და ტექნიკუმების მოსწავლეები, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. მათ მოაქვთ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის პორტრეტები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა სურათები, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა სურათები.

სოხუმის საწარმო-დაწესებულებების კოლონათა ტრანსპარანტებზე წარწერილი მაჩვენებლები მოგვითხრობენ, თუ რა სახახელო წარმატებები მოიპოვეს სოხუმელებმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. პირველი მოდის ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით დამსახურებულად მოიპოვა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს მათ აპრილში: გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა და ამასთან აითვისეს ახალი მოდის საზაფხულო ფეხსაცმელი. მეფეხსაცმლეებს მოჰყვებიან სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც ოთხი თვის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 36,5 მილიონი ცალი პაპიროსი.

დემონსტრაცია დამთავრდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლით. დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ სოხუმის ბაღებსა, სკვერებსა და სტალინის სახელობის მთაზე გაიმართა მასობრივი სეირნობა.

საღამოჟამს სოხუმს ესტუმრა თბომავალი „როსია", რომლის პროჟექტორების შუქზე მოეწყო ნავებითა და გლისერებით სეირნობა ზღვაზე. (საკ. კორ.).

## ბათუმი

მომხიბლავი სანახავი იყო სადღესასწაულო ბათუმი, გაზაფხულის მზის სხივებით მოქარგული ქალაქის მარადმწვანე ქუჩები, პარკები, სკვერები.

შენობების ფასადებზე მოჩანან ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ლოზუნგები და პლაკატები.

დილის 11 საათზე დაიწყო ბათუმის მშრომელთა დემონსტრაცია.

დემონსტრაცია გახსნეს ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა კოლონებმა. ბავშვებს მოაქვთ ცოცხალი ყვავილების თაიგულები, ლოზუნგები და პლაკატები, რომლებზეც ოქროსფერი ასოებით აღბეჭდილია სიტყვები: „ჩვენ მშვიდობა გვინდა!", „ფრიადზე სწავლით გავახარებთ საყვარელ სამშობლოს!".

მოსწავლეთა კოლონას მოჰყვნენ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, საზღვაო სასწავლებლის და ტექნიკუმების მოსწავლენი.

მწყობრად მოაბიჯებენ სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები — მომავალი მაღალკვალიფიციური მუშები.

მოედანზე შემოდის აჭარის უდიდესი საწარმოს — სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა აპრილის დავალება და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ტონა ძვირფასი ნავთობპროდუქტები.

გამარჯვებულნი მოვიდნენ დემონსტრაციაზე ბათუმელი რკინიგზელები. სახელოვანმა მევაგონეებმა აპრილის გეგმა 154 პროცენტით შეასრულეს.

ბათუმელმა მეორთქლმავლეებმა დღესასწაული აღნიშნეს აპრილში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალების 172 პროცენტით შესრულებით.

პროდუქციის გამოშვების დავალებათა დიდი გადაჭარბებით შესრულება უპატაკეს სამშობლოს დემონსტრაციის მონაწილე მანქანათმშენებელი, ფანერის, კონსერვის, მომთუთიებელი ქარხნების, თამბაქოსა და საკონდიტრო ფაბრიკებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ტრიბუნას მწყობრ რიგებად ჩაუარა აჭარის ავტოსატრანსპორტო კანტორის სახელოვანმა კოლექტივმა, რომელიც პირველ კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა და გარდამავალი წითელი დროშა მიიღო. (საკ. კორ.).

## სტალინირი

სტალინირელებმა ზეიმით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — 1 მაისი. დილიდანვე ქალაქის ამწვანებული ქუჩები დემონსტრაციის მონაწილეებით აივსო. შენობებზე მოჩანან ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

დღის 11 საათია. სტალინირელთა ყველაზე საყვარელ ადგილზე — ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნას უახლოვდებიან ქალაქის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების კოლონები. მათ მოაქვთ ტრანსპარანტები, რომლებზეც გამოხატულია საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებათა მაჩვენებელი ციფრები. მწყობრი ნაბიჯით მოდიან ხე-ტყის კომბინატისა და მექანიკური ქარხნის მუშები, ლუდის სახარში ქარხნის კოლექტივი, რომელმაც აპრილის დავალება 25 რიცხვისათვის შეასრულა, მოდიან ადგილობრივი მრეწველობის საშენ მასალათა საწარმოების კოლექტივები. მათმა უმრავლესობამ პირნათლად გაანაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

მოედანზე შემოდიან მოსწავლე ახალგაზრდები, სიმღერით ჩაუარეს ტრიბუნას ყველაზე პატარებმა — ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ამ დღეს ერთხელ კიდევ გამოხატეს თავიანთი მზადყოფნა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად, ცხადყვეს უსაზღვრო ერთგულება ლენინ — სტალინის დიადი იდეებისადმი, მშვიდობის საქმისადმი. (საკ. კორ.).

## ქუთაისი

მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც ქალაქის გულში— სტალინის სახელობის მოედანზე გაიმართა, დაიწყო სამი ათასი ფიზკულტურელის გამოსვლით. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის სპორტსმენებს, რომლებმაც ტრიბუნის წინ ოსტატურად შეასრულეს მხატვრული ვარჯიში. შინაარსიანი იყო პედაგოგიური სასწავლებლის ფიზკულტურელთა პროგრამა.

ლამაზად გაფორმებული ავტომანქანებით მოედანზე შემოდიან ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები — ჩვენი ცხოვრების ნორჩი ყვავილები. ტრიბუნის წინ წუთით შეჩერდა ერთ-ერთი მანქანა... საკონსერვო ქარხნის საბავშვო ბაღის აღსაზრდელი თამილა გიორგაძე შესანიშნავად კითხულობს ლექს: „დღეს პირველი მაისია და პირველი გაზაფხული..."

„ჩვენ მშვიდობა გვინდა" — შეწყობილად მღერიან პატარები.

მოედანზე ერთმანეთს ცვლიან საშუალო სკოლების მოსწავლეები, ავტომექანიკური, სატყეო და სამთო ტექნიკუმების მსმენელები, პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სტუდენტები. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლონას ამშვენებდა წარწერა: „მოვუმზადოთ კვალიფიციური კადრები სოციალისტურ სოფლის მეურნეობას".

ქალაქის საწარმოთა კოლონებს წინ მიუძღოდნენ ქუთაისელი მეავტომობილეები. მათ დემონსტრაციაზე გამოიყვანეს ახალათვისებული თვითმცლელი ავტომანქანა.

ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების გამოსვლამ ცხადყო, რომ ქუთაისის მრეწველობის მუშაკები ღირსეული მაჩვენებლით შეხვდნენ პირველ მაისს: გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 150 ათასი მანეთის ქსოვილი, 2 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, დიდძალი ლიტოპონი, შეკერილი ტანსაცმელი, კვების პროდუქტები, საშენი მასალები, ფართო მოხმარების საგნები.

ქუთაისის ინდუსტრიული განვითარების განუხრელ აღმავლობას გამოხატავდა დემონსტრაციაზე გამოსული კოლექტივი შუშის ტარის ქარხნისა, სადაც დღესასწაულის წინადღეებში აგიზგიზდა პირველი ღუმელი.

სამ საათს გასტანა ქუთაისის მშრომელთა დემონსტრაციამ. (საკ. კორ.).

## საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 1 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა დახურული სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

სხდომაზე მოხდა აზრთა საერთო არაოფიციალური გაცვლა კორეის საკითხზე.

## ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ჯოუ-ენ ლაის და ა. იდენის პატივსაცემად

ჟენევა, 30 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაის და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. იდენის პატივსაცემად.

## ჯოუ ენ-ლაიმ სადილი გამართა ვ. მ. მოლოტოვის პატივსაცემად

პეკინი, 30 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ჟენევიდან იუწყება:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გუშინ სადილი გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის პატივსაცემად. [illegible]

ჟენევის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის გენერალური მდივანი ა. ა. სოლდატოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე დ. ა. ჟუკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული [illegible]

## ვ. მ. მოლოტოვის შეხვედრა ბ-ნ დალესთან

[illegible]

## მაო ძე-დუნმა მიიღო კორეის სახალხო დელეგაციის ხელმძღვანელები

[illegible]

## უნგრეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო შეთანხმება

ბუდაპეშტი, 1 მაისი. (საკდესი). უნგრეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

30 აპრილს ბუდაპეშტში ხელმოწერილ იქნა 1954 წლის სავაჭრო შეთანხმება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

შეთანხმებით ჩინეთი უნგრეთს მიაწვდის სხვადასხვა ლითონს, ტყავს, გამოუქნელ ტყავს, მატყლს, ნედლეულს საფეიქრო მრეწველობისათვის, თამბაქოს და სხვ. უნგრეთი ჩინეთში შეიტანს სატვირთო ავტომობილებს, ავტობუსებს, მოწყობილობას ელექტროსადგურებისათვის, კავშირგაბმულობის საშუალებებს, საზომ ხელსაწყოებს, სამედიცინო ინსტრუმენტებსა და მედიკამენტებს.

## ამერიკის დელეგაციის წარმომადგენლის საიდემის პრეს-კონფერენცია

ჟენევა, 30 აპრილი. (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების დღევანდელი სხდომის შემდეგ გაიმართა, ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელმა საიდემმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 3 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი ჟენევიდან ვაშინგტონს მიემგზავრება. საიდემმა აგრეთვე გამოაცხადა, რომ ხვალ ჟენევაში მოელიან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილეს უ. ბედელ სმიტს.

## საბჭოთა მსახიობები პარიზში

პარიზი, 1 მაისი. (საკდესი). გუშინ პარიზს ჩამოვიდა სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის და ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობთა ჯგუფი 50 კაცის შემადგენლობით.

ლე ბურჟეს აეროდრომზე საბჭოთა მსახიობებს შეხვდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

პარიზის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით საბჭოთა ბალეტის ოსტატებს მიესალმა ეროვნული თეატრების დირექტორი მორის ლემანი. „თქვენი ჩამოსვლა, — თქვა მან, — აახლებს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთ თეატრალური გასტროლების ძველ ტრადიციას და მას კმაყოფილებით შეხვდება თეატრისა და ბალეტის ყველა მოყვარული".

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა ბალეტის მსახიობთა ჯგუფის ხელმძღვანელმა კომპოზიტორმა მ. ი. ჩულაკიმ.

საბჭოთა ბალეტის მსახიობთა გასტროლები დაიწყება 8 მაისს თეატრ „გრანდ-ოპერის" შენობაში.

## საბჭოთა კავშირ-ლიბანის სავაჭრო ურთიერთობისათვის

საბჭოთა კავშირ-ლიბანის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შედეგად 1954 წლის 30 აპრილს ბეირუთში ხელი მოაწერეს სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმებას სსრ კავშირსა და ლიბანს შორის. შეთანხმება აწესებს ვაჭრობისა და ნაოსნობის რეჟიმს, აგრეთვე ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთანგარიშსწორების წესს.

საბჭოთა იმ საქონლის სიაში, რომელიც შეთანხმებით გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირიდან ლიბანში შესატანად, შედის: დახერხილი ხე-ტყის მასალა, ქვანახშირი, ქაღალდი, ქიმიური საქონელი, მედიკამენტები, მოწყობილობა, ავტომანქანები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, კინოფილმები, ბეჭდვითი ნაწარმოები და სხვა საქონელი.

ლიბანი სსრ კავშირში შემოიტანს ციტრუსოვანთა და სხვა ხილს, მცენარეულ ზეთებს, მატყლს, ტყავსა და ლანჩას, ტყავის ნედლეულს, შალის ქსოვილებსა და ზოგიერთ სხვა საქონელს.

შეთანხმება დადებულია ერთი წლის ვადით და ყოველ წლიწადს ავტომატურად გაგრძელდება, თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს მის დენონსაციას.

სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმების ხელმოწერასთან ერთად მხარეებმა გაცვალეს წერილები ლიბანში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის დაარსებისა და სტატუტის შესახებ.

საბჭოთა მხრივ სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის დესპანმა ლიბანში ვ. ა. ბელიაევმა და სავაჭრო ატაშემ სსრ კავშირის მისიასთან ლიბანში ლ. ს. ეგოვმა, ლიბანის მხრივ — ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ნაკაშმა.

## ავსტრალიიდან გამოემგზავრა საბჭოთა საელჩოს პერსონალი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ავსტრალიის მთავრობის მოქმედებასთან დაკავშირებით, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობის ელემენტარულ მოთხოვნებს და ქმნის ისეთ ვითარებას, რომელიც არა მარტო გამორიცხავს საბჭოთა საელჩოს ნორმალური დიპლომატიური საქმიანობის შესაძლებლობას, არამედ წარმოადგენს აგრეთვე საფრთხეს საელჩოს პერსონალის პირადი უშიშროებისათვის, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა გამოიწვიოს სსრ კავშირის ელჩი ავსტრალიაში და საბჭოთა საელჩოს მთელი პერსონალი. ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ შეუძლებელია მოსკოვში ავსტრალიის საელჩოს პერსონალის შემდგომი ყოფნა.

29 აპრილს სსრ კავშირის ელჩი ნ. ი. გენერალოვი და საბჭოთა საელჩოს პერსონალი ავსტრალიიდან სამშობლოში გამოემგზავრნენ. საბჭოთა საელჩოს პერსონალის გამომგზავრების შემდეგ ავსტრალიაში საბჭოთა კავშირის ინტერესების დაცვას, საბჭოთა მთავრობის თხოვნით, განახორციელებს შვეციის მისია კანბერაში.

30 აპრილს, საბჭოთა მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად, ავსტრალიის საელჩომ მოსკოვში დატოვა სსრ კავშირის ტერიტორია. (საკდესი).

## პირველი მაისის დღესასწაული საზღვარგარეთ

მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანმა იდღესასწაულა პირველი მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე. მასობრივმა საპირველმაისო დემონსტრაციებმა და მიტინგებმა საზღვარგარეთ ჩაიარა მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში ხალხთა ერთიანობის შემდგომი განმტკიცების ნიშნით.

განსაკუთრებული ზეიმითა და სიხარულით აღინიშნა საპირველმაისო ტრადიციული დღესასწაული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. პირველი მაისის დღეს ამ ქვეყნების მშრომელებმა შეაჯამეს საპირველმაისო შეჯიბრების შესანიშნავი შედეგები, ცხადყვეს თავიანთი მზადყოფნა — იბრძოლონ შემდგომი წარმატებებისათვის ახალი ცხოვრების მშენებლობაში, კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლონ მშვიდობისათვის.

მძლავრი საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა სახალხო ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში. რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში ტრიბუნების წინ, რომლებზეც იყვნენ მაო ძე-დუნი, ლიუ შაო-ცი, ჯუ დე და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხვა წევრები, დემოკრატიული პარტიებისა და სახალხო მთავრობის ხელმძღვანელები, ჩაიარა ნახევარმა მილიონმა კაცმა.

დემონსტრანტთა კოლონებს მოჰქონდათ წითელი ტრანსპარანტები, რომლებიც ასახავდნენ ჩინეთის მშრომელთა მიღწევებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ ინდუსტრიალიზაციისათვის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიადი და ურღვევი მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ტრიბუნებიდან დემონსტრანტებს მიესალმებოდნენ მშრომელთა მრავალი წარმომადგენელნი, რომელნიც პეკინს ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან. სტუმრებს შორის იყვნენ საბჭოთა პროფკავშირებისა და საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციები.

დემონსტრაციის შემდეგ გაიმართა დედაქალაქის მოსახლეობის მასობრივი სეირნობა.

ფხენიანში ქალაქის სახალხო კომიტეტის შენობის წინ 1 მაისს გაიმართა სადღესასწაულო მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე მარშალი კიმ ირ სენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე კიმ დუ ბონი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი და კორეის შრომის პარტიისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

მიტინგის შემდეგ დაიწყო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის 200 ათასზე მეტმა მცხოვრებმა.

დიდი აღმავლობით იდღესასწაულა 1 მაისი პოლონელმა ხალხმა.

ვარშავაში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ასეულ ათასობით მშრომელმა.

დემონსტრანტების წინაშე გამოვიდა ბ. ბერუტი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხის ძმური დახმარების მეოხებით პოლონეთის მშრომელებმა მოკლე ვადაში აღადგინეს ნანგრევებიდან ქალაქები და ქარხნები, შექმნეს მსხვილი თანამედროვე მრეწველობა — პოლონეთის ეკონომიკის შემდგომი განვითარების საფუძველი.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, ბ. ბერუტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთი მშვიდად და რწმენით შესცქერის თავის მომავალს, რომ მისი დამოუკიდებლობა და უშიშროება ემყარება სახელმწიფოს მზარდ თავდაცვითს ძლიერებას, სამარადისო, ურღვევ და ძმურ კავშირს მძლავრ საბჭოთა კავშირთან.

პრაღაში დემონსტრაციის მონაწილეებს მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი, მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ვ. შიროკის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური სამდივნოს წევრები.

ვაცლავის მოედანზე შეკრებილთ, მთელ ხალხს სიტყვით მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ზაპოტოცკიმ. აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის დიდი დამსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში, ზაპოტოცკიმ განაცხადა, რომ სსრ კავშირის ღონისძიებათა მეოხებით მოწვეულ იქნა ბერლინისა და ჟენევის თათბირები, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ჩვენ, თქვა პრეზიდენტმა, წავალთ წინ მშვიდობის მთელ ბანაკთან ერთად და ჩვენთვის მუდამ მაგალითი იქნება ჩვენი განმათავისუფლებელი და დიდი მოკავშირე — სსრ კავშირი.

შეკრებილნი ბევრჯერ აწყვეტინებდნენ ზაპოტოცკის სიტყვას მქუხარე ტაშითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!", „გაუმარჯოს მშვიდობას!"

სამ საათნახევარს გაგრძელდა საპირველმაისო დემონსტრაცია უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში.

მასობრივი დემონსტრაციებით აღნიშნეს პირველი მაისის დღე რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ასეულათასობით მშრომელმა მიიღო მონაწილეობა ბერლინის საპირველმაისო დემონსტრაციაში. დემონსტრანტებს მიესალმნენ მთავრობის ტრიბუნაზე მყოფნი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვალტერ ულბრიხტი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. სადღესასწაულო მსვლელობის მონაწილენი გამოხატავდნენ თავიანთ ურყევ გადაწყვეტილებას — იბრძოლონ გერმანიის ერთიანობისათვის, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

დემონსტრაციაში, რომელიც დაახლოებით ხუთ საათს გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დასავლეთ ბერლინის მშრომელთა დელეგაციებმა.

დასავლეთ ბერლინის სენატი და დასავლეთ ბერლინის პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერები მოუწოდებდნენ საპირველმაისო მიტინგი მოეწყოთ მეწარმეებთან ერთად. მაგრამ მშრომელთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ამ პროვოკაციულ მოწოდებას. მუშებმა ბერლინის დასავლეთის სექტორებში მოაწყეს დემონსტრაციები ხელფასის გადიდებისათვის, ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, გერმანიის ერთიანობისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

დასავლეთ ბერლინის პოლიციამ მრავალი დემონსტრანტი დააპატიმრა.

ფართოდ აღნიშნეს პირველი მაისის დღე კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებმა.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის ხელისუფლებმა აკრძალეს ტრადიციული საპირველმაისო დემონსტრაციის მოწყობა პარიზში მარშრუტით: ბასტილიის მოედანი — ერის მოედანი. სენის დეპარტამენტის პროფკავშირთა გაერთიანების მოწოდებით პარიზის ათეულ ათასობით მცხოვრები შეიკრიბა პირველ მაისს ვენსენის ტყეში, სადაც გაიმართა მიტინგი. ტრიბუნაზე იყვნენ შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ბენუა ფრაშონი, სენის დეპარტამენტის პროფკავშირთა გაერთიანების გენერალური მდივანი ეჟენ ენაფი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ჟაკ დიუკლოს მეთაურობით, გენერალი პეტი, აბატი გრანჟეი, პროფესორი ბურგინიონი და საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

დიდი სიტყვა წარმოთქვა შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბენუა ფრაშონმა, რომელმაც მოუწოდა საფრანგეთის მშრომელებს განამტკიცონ მოქმედების ერთიანობა თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ლონდონში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობდა 40 ათასამდე კაცი.

ჰაიდ-პარკის მწვანე მინდორზე გაიმართა მასობრივი მიტინგი. შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჰარი პოლიტმა, რომელმაც მშრომელთ მოუწოდა გამანადგურებელი პასუხი გასცენ ახალი ომის მომზადებას.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მშრომელებს მოუწოდებს იბრძოლონ მშვიდობის განმტკიცებისათვის და ყველა კოლონიური ომის შეწყვეტისათვის.

ნიუ-იორკში საპირველმაისო მიტინგზე შეიკრიბა 15 ათასი კაცი — მუშები და ქალაქის პროგრესული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მიტინგზე, რომელმაც ჩაიარა „სამუშაოს და მშვიდობის" ლოზუნგით, გამოვიდნენ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" სტალინური პრემიის ლაურეატები ჰოვარდ ფასტი და პოლ რობსონი, ამერიკის კომპარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი ელიზაბეტ ფლინი და სხვები. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ბრძოლისაკენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაურევლობისათვის.

უდიდესი აღმავლობით აღინიშნა პირველი მაისის დღე ინდონეზიის მილიონობით უბრალო ადამიანმა.

ჯაკარტაში საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ნახევარმა მილიონმა კაცმა. დემონსტრაციამ ცხადყო ინდონეზიის მუშათა კლასისა და გლეხობის ერთიანობის მზარდი ძალა. დემონსტრაციის მონაწილეებმა გამოთქვეს მხურვალე სურვილი გააძლიერონ ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კოლონიური რეჟიმის ნაშთების მოსპობისათვის. ჟენევის თათბირს გაეგზავნა დეპეშა მოწოდებით — რაც შეიძლება მალე გადაჭრას კორეის პრობლემა, შეწყვიტოს ცეცხლი ინდოჩინეთში და მისცეს მის ხალხებს სრული დამოუკიდებლობა.

ფართოდ აღნიშნეს 1 მაისის დღესასწაული იაპონიის მშრომელებმა. 1 მაისის აღსანიშნავი მიტინგები მოეწყო მთელ იაპონიაში. მიტინგებში მონაწილეობა მიიღო მილიონნახევარზე მეტმა კაცმა.

ტოკიოში საპირველმაისო მიტინგზე, რომელიც მეიძის პარკში მიმდინარეობდა, შეიკრიბა 300 ათასზე მეტი მშრომელი, რომლებიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფკავშირში. ისინი მოვიდნენ ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ამერიკის სამხედრო „დახმარების" წინააღმდეგ, დემოკრატიული უფლებებისათვის, ხელფასის გადიდებისათვის. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მიტინგის მონაწილეებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები წარწერებით: „ამერიკელებო, წაეთრიეთ შინ!".

მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა აგრეთვე იტალიაში, შვეციაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ბელგიაში, დანიაში, ფინეთში, ავსტრიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ახლო და შუა აღმოსავლეთში და დედამიწის სხვა ნაწილებში.

პირველი მაისის დღესასწაული გადაიქცა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელთა მზარდი სოლიდარობის მკაფიო დემონსტრაციად. (საკდესი).



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. საპირველმაისო დემონსტრაცია პეკინში ტიანანმინის მოედანზე. ტრიბუნაზე — ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლიუ შაო-ცი პიონერებთან ერთად.

ფოტო გაზეთ „ჟენმინჟიბაოს" კორესპონდენტ ხოუ პოსი.

## სპორტის ამბები

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა" კლასი

თბილისი. 1 მაისი. „დინამოს" სტადიონის იარუსები სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა ჩვენი ქვეყნის XVI ჩემპიონატის მორიგი ასპარეზობა ფეხბურთში კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და თბილისის „დინამოს" გუნდებს შორის.

სტუმრები მოედანზე გამოვიდნენ თავიანთი საბრძოლო შემადგენლობით. თბილისის „დინამოში" კალოევის მაგივრად შუამარბად თამაშობდა ღოღობერიძე, ხოლო ღოღობერიძის ადგილზე მეათე ნომრად — ვარდიმიადი.

ბრძოლა თბილისელთა უპირატესობით დაიწყო. პირველ 10 წუთში კუიბიშეველთა კარი რამდენჯერმე გადარჩა გოლს. მე-14 წუთზე სტუმრებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. მარღანიამ და სარჯველაძემ გადაარჩინეს კარი. თამაშის პირველი ნახევრის ბოლო წუთები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ტაიმი დამთავრდა ფრედ 0:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მარღანიას მაგივრად მოედანზე გამოვიდა მეკარე სანაია. მე-7 და მე-15 წუთზე დინამოელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის უდავო შესაძლებლობა. 24-ე წუთზე კუიბიშეველთა საჯარიმო მოედანზე სახიფათო მომენტი შეიქმნა. ღოღობერიძის მიერ დარტყმული ბურთის მოგერიებას შეეცადა მარჯვენა დამცველი სკოროხოვი, მაგრამ თავისავე კარში გაიტანა.

41-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ღოღობერიძისაგან ბურთი მიიღო თოდრიამ, რომელმაც არ დააყოვნა და შეუჩერებლად გაგზავნა იგი მოწინააღმდეგის კარში, ბურთი მოხვდა კარის ძელს და ძირს დაეშვა. მეკარე კორნილოვმა ვერ შეძლო მოგერიება, იგი ბურთიანად მოექცა კარში.

მატჩი დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0. მორიგ შეხვედრას თბილისის „დინამო" გამართავს ლენინგრადში ადგილობრივ „შრომითი რეზერვებთან" 7 მაისს.

* * *

მოსკოვი. 1 მაისი. დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ახალი სეზონი. გაიმართა სპორტული კოლექტივების პარადი, აღმართეს ალამი. დიდი ინტერესი გამოიწვია გასული წლის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკისა" და თასის მფლობელის დედაქალაქის „დინამოს" გუნდების შეხვედრამ. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ. შეჯიბრების მეორე ნახევარში დინამოელებმა სალნიკოვმა და შაბროვმა ორი ბურთი გაიტანეს სპარტაკელთა კარში. გაიმარჯვა მოსკოვის „დინამომ" ანგარიშით 2:0.

მინსკი. 1 მაისი. წარმატებით იბრძვიან მინსკის სპარტაკელები. მორიგი შეხვედრა მათ გამართეს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდთან. მატჩი მოიგეს მინსკელმა ფეხბურთელებმა 1:0.

ლენინგრადი. 1 მაისი. ახალი სასპორტო სეზონის გახსნას ლენინგრადში 80 ათასი სპორტის მოყვარული დაესწრო. ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ზენიტი" და „შრომითი რეზერვები". 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0.

გორკი. 1 მაისი. გორკის ტორპედოელებმა პირველი შეხვედრა თავიანთ მოედანზე გამართეს ხარკოვის „ლოკომოტივის" წინააღმდეგ. მატჩი მოიგეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 2:0.

„ბ" კლასი

თბილისი. 2 მაისი. თბილისის ოფიცერთა სათლქო სახლის გუნდმა მესამე შეხვედრა გამართა ქ. ფრუნზეს „ასკას" წინააღმდეგ. მატჩი მოიგეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

### სამი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა შეხვედრა

ბაქოში დამთავრდა სამი მოძმე რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება, მიძღვნილი აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 34-ე წლისთავისადმი.

თვითეული გუნდი დაკომპლექტებული იყო 10 მოჭადრაკით. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ბუსლაევი, გურგენიძე, სოროკინი, გერშკოვიჩი, კალატოზიშვილი, მიქაელიანი, მაჭავარიანი, სმირნოვი, გოგიავა და ხაჭაპურიძე.

აზერბაიჯანისა და საქართველოს მოჭადრაკეთა კოლექტივების შეხვედრაში გაიმარჯვეს აზერბაიჯანელებმა ანგარიშით 6 : 4. აზერბაიჯანის გუნდმა მოუგო აგრეთვე სომხეთის მოჭადრაკეებს $6\frac{1}{2} : 3\frac{1}{2}$. საქართველოსა და სომხეთის მოჭადრაკეთა კოლექტივების შეხვედრა დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 6 : 4.

ამრიგად, $12\frac{1}{2}$ ქულით პირველი ადგილი დაიკავა აზერბაიჯანის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდი (10 ქულა).

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1954 წლის 14 მაისს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ., № 8), ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ლია გრიგოლის ასული ლეჟავა დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ქართული ანდაზების ენა".

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არნ. ჩიქობავა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ივ. გიგინეიშვილი.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წლის 14 მაისს დღის 2 საათზე საქტო დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დავით გიორგის-ძე თევზაძე დაიცავს დისერტაციას თემაზე: „საკოლმეურნეო მშენებლობის ასახვა ქართულ პროზაში".

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი შ. რადიანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გ. აბზიანიძე.

### ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 5 მაისს | ზ. ფალიაშვილი — დაისი |
| 7 მაისს | დ. თორაძე — მშვიდობისათვის |

(დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

მოქალაქე გეორქ გაბრიელის-ძე ასატუროვმა, მცხოვრებმა პატარძეულის ქ. № 21, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე სათენიკ ხუვარის ასულ ასატუროვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე რისიმე, შვილები ნინო, ეენია, თამარ, ლეონინა, ვარლამ, ნიკოლოზ, ძმა მოსე, რძლები მენიკი, პაშა, ელენე, სიძეები ი. გვარიშვილი, დ. ურუშაძე შვილებით და ძმისწულები იუწყებიან კასიანე გაბრიელის-ძე გოგიჩაიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-V ლესაში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე ნატაშა, რძალი ანეტა, შვილიშვილები რეზო, ჯულიეტა ფოცხვერიები, სიძე ვალიკო ბახსოლიანი იუწყებიან სევერიანე პავლეს-ძე ფოცხვერიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-V სოფ. ჭაგანში (სამტრედიის რ.).

შვილები დარიკო, ანგელინა, შვილიშვილები ციალა, გურამ, ლალი, სიძე ივანე ალფაიძე იუწყებიან მელიტონ ნიკოს-ძე ნინიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-V, 8 ს. გამოსვენება 6-V, 6 ს. ერისთავის ქ. № 14.

მეუღლე ანდრო, შვილები ქეთევან, გივი, რძალი ნუნუ, შვილიშვილები დიმიტრი, ნანი, მანანა იუწყებიან ელისაბედ გიორგის ასულ კავსაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, $5\frac{1}{2}$ ს. საქანელას ქ. № 37.

შვილები შალვა, ქეთო, რძლები მარგო, ლენა, ნადია, შვილიშვილები დავით, ლალა, ნათელა, ძმისწულები გიორგი, ვლადიმერ, ნიკოლოზ, ნინო, თამარ, ვენერა იუწყებიან ანეტა გიორგის ასულ მოლაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, 6 ს. გოცირიძის ქ. № 33.

მეუღლე გიორგი თაქთაქიშვილი, შვილები მიხეილ, დავით, რძლები ანგელინა, თამარ, შვილიშვილები ნუგზარ, თამაზ, მონიკო, ნინო, ტასო იუწყებიან ერმონია ბიძინას ასულ თაქთაქიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-V სოფ. რველში.

შვილები შოთა, რუსუდან, თამარ, რძალი ტატიანა, შვილიშვილები ოთარ, ჯემალ, ჯონდო, ზურაბ, მარინე, სამსონ, თემურ იუწყებიან ნინო ზურაბის ასულ მინდიაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, 6 ს. უნივერსიტეტის ქ. № 12.

მეუღლე ფედოსი, შვილები დავით, თათუშა, ლუბა, ლოლა, მარგალიტა, სიძე კოტე მიქაძე შვილებით რევაზით, გურამით და თენგიზით, მარიამ და ჯუმბერ მაჭავარიანები იუწყებიან დიანოზ ივანეს-ძე დუნდუას გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-V მარანში (აბაშის რ.).

შვილები ტასო, ნიკო, რძლები ნინო, თამარ, შვილიშვილები ეთერ, ციცინო, დარეჯან, შაქრო, გივი, დავით აფციაურები, ვასო სეთური იუწყებიან ელენე შალვას ასულ აფციაურის გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, 6 ს. ქობულეთის ქ. № 20.

მთავარი საავთიაქო სამმართველოს და თბილისის საავთიაქო ქსელის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება წითელხევის აფთიაქის მმართველის პროვიზორ ვასილ ანტონის-ძე კელენჯერიძის გარდაცვალებას.

მეუღლე თინა ავალიშვილი შვილით თამაზით იუწყება გიორგი ონისიმეს-ძე ვარდოსანიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4,5-V 8 ს. გამოსვენება 6-V, $5\frac{1}{2}$ ს. გრიბოედოვის ქ. № 29.

უე 00690

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.